დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს **<u>გადაწყვეტილება</u> ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კოლექტიური სამშვიდობო ძალების გამოყენების შესახებ**

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა მეთაურები,

გამოთქვამენ რა სერიოზულ შეშფოთებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით,

ითვალისწინებენ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარის _ სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 3 თებერვლის ერთობლივ მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისადმი,

განუხრელად იცავენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას, ესწრაფვიან აფხაზეთში ვითარების სრულმასშტაბიან პოლიტიკურ მოწესრიგებას მშვიდობიანი საშუალებებით, როცა უზრუნველყოფილი იქნება აფხაზეთის მრავალეროვნული მოსახლეობისა და მისი სახელმწიფოებრიობის ინტერესები,

ადასტურებენ მისწრაფებას კვლავაც განავითარონ ურთიერთქმედება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საბჭოსთან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებისათვის სამშვიდობო საქმიანობაში,

აფხაზთა მხარის 1994 წლის 15 მაისისა და საქართველოს მხარის 1994 წლის 16 მაისის თხოვნასთან დაკავშირებით, რომ რაც შეიძლება მალე განლაგდეს კონფლიქტის ზონაში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა კოლექტიური სამშვიდობო ძალები

და 1994 წლის 14 მაისს საქართველოსა და აფხაზთა მხარეების მიერ ხელმოწერილი ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, **გადაწყვიტეს:**

1. განალაგონ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში თანამეგობრობის წევრი დაინტერესებული სახელმწიფოების სამხედრო კონტინგენტებისაგან შემდგარი კოლექტიური სამშვიდობო ძალები 2,5-3 ათასი კაცის ოდენობით, აგრეთვე სამხედრო მეთვალყურენი...ამასთან იხელმძღვანელებენ იმით, რომ კოლექტიური სამშვიდობო ძალების საფუძველი იქნება საქართველოს რესპუბლიკის კონფლიქტის ზონაში უკვე არსებული რუსეთის სამხედრო კონტინგენტი. კოლექტიური სამშვიდობო ძალების განლაგების ოპერაციის განხორციელების გეგმა შეთანხმებული იქნება კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან 1994 წლის 14 მაისის ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შეთანხმების შესაბამისად.

2. შექმნან დროებითი გაერთიანებული სარდლობა იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან, რომლებიც კოლექტიური სამშვიდობო ძალების შემადგენლობაში გზავნიან თავიანთ კონტინგენტებს.

კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლად დაინიშნოს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი.

3. კოლექტიური სამშვიდობო ძალები განლაგდებიან ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ ქართულ-აფხაზურ შეთანხმებაში განსაზღვრულ საზღვრებში.

4. საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან და აფხაზთა შეიარაღებულ ფორმირებებთან კოლექტიური სამშვიდობო ძალების ურთიერთქმედების წესი განისაზღვრება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში სამხედრო მეთვალყურეთა და კოლექტიური სამშვიდობო ძალების ჯგუფების შესახებ 1992 წლის 20 მარტის შეთანხმების დებულებებისა და, საჭიროების შემთხვევაში, იმ ცალკე შეთანხმებათა შესაბამისად, რომლებიც კოლექტიური სამშვიდობო ძალების გაერთიანებულმა სარდლობამ დადო კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან.

5. ამ გადაწყვეტილების მოქმედების პერიოდში კოლექტიური სამშვიდობო ძალები შეასრულებენ შემდეგ ამოცანებს:

ა) ცეცხლის შეწყვეტის მკაცრად დაცვის უზრუნველყოფა, მშვიდობის დამყარება და საომარი მოქმედების განახლების თავიდან აცილება კონფლიქტის ზონაში კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შეიარაღებული ფორმირებების დაშორიშორების გზით;

ბ) პირობების შექმნა წინანდელ საცხოვრებელ ადგილებში იმ ადამიანთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის, რომლებმაც კონფლიქტის ზონა დატოვეს, აგრეთვე ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების შესახებ 1994 წლის 4 აპრილის ოთხმხრივი შეთანხმების

სხვა დებულებების შესრულების პირობები, მათ შორის ოთხმხრივი კომისიის საქმიანობისათვის, რომელიც იქმნება აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად;

გ) თვალყურის დევნება იმისა, როგორ ასრულებენ მხარეები მათ შორის მიღწეულ შეთანხმებებს, კერძოდ, 1993 წლის 1 დეკემბრის გაგების მემორანდუმს, 1994 წლის 13 იანვრის კომუნიკეს მოლაპარაკების მეორე რაუნდის შესახებ, 1994 წლის 4 აპრილის განცხადებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ და 1994 წლის 14 მაისის შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ, აგრეთვე სხვა შესაძლო შეთანხმებებს, რომლებსაც მხარეები დადებენ ვითრების ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში;

დ) ხელის შეწყობა კონფლიქტებით დაზარალებული რაიონების აღდგენის, მათ შორის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის, განაღმვის, მოსახლეობის სიცოცხლის უზრუნველყოფის ძირითად სისტემათა აღდგენისათვის;

ე) ხელის შეწყობა საერთაშორისო ჰუმანიტარული უფლებებისა და ადამიანის უფლებების ნორმათა დაცვის უზრუნველყოფისათვის;

ვ) მჭიდრო თანმშრომლობა გაეროს მეთვალყურეთა მისიის პერსონალთან და რეგიონში მყოფ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა პერსონალთან;

7. ეს დადგენილება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

შესრულებულია დედნის ერთ ეგზემპლარად რუსულ ენაზე...

ხელმოწერილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურების მიერ.

მოკოვი, 1994 წლის 22 აგვისტო.

(Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г.г., составитель Г. Уридия, Тб., 1999, გვ. 40-42. საკუთარი თარგმანი)